ტელეკომპანია იმედის თვითრეგულირების ორგანოს

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი მალხაზ რეხვიაშვილი

მისამართი: დ.აღმაშენებლის გამზ. 189, სართული 3

საჩივარი

მოგმართავთ საჩივრით, რათა განიხილოთ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, გადაცემაში „იმედის კვირა“ გასული სიუჟეტი საქართველოს რეფორმების ასოციაციის პროექტ ფაქტ-მეტრის შესახებ. მივიჩნევთ, რომ სიუჟეტი არღვევდა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 (ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციპ), მე-13 (ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის წაყენებული მოთხოვნები), მე-14 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის), მე-15 (მიუკერძოებლობის პრინციპი), მე-16, მე-18 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ახალი ამბების და საინფორმაციო პროგრამების გადაცემისას მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის), მე-19 (სამართლიანი მოპყრობის პრინციპი) და მე-20 (პროგრამის მონაწილეთა სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფის მოთხოვნები (წესები)) მუხლებს.

ფაქტობრივი გარემოებები:

4 დეკემბერს, „იმედის“ ეთერში, გადაცემაში „იმედის კვირა“[1] სიუჟეტი გავიდა,[2] რომელიც „ფაქტ-მეტრის“ შესახებ ფაქტობრივად არაზუსტ პირდაპირ და ირიბ ბრალდებებს შეიცავდა. სიუჟეტი ეთერში დაახლოებით 20:39 საათიდან იწყება.

- წამყვანის შესავალ სიტყვაში ნათქვამია: სწორედ მათი არასამთავრობო ორგანიზაციების მომზადებული ყალბი ინფორმაციის შემცველი ანგარიშები. სიუჟეტში არცერთ კონკრეტულ ანგარიშზე მითითება არ არის გაკეთებული, რომ ის ყალბ ინფორმაციას შეიცავს.

- სიუჟეტში რესპოდენტი ფაქტ-მეტრს ბრალს სდებს, რომ ის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას, რომ საქართველო ყველაზე მეტს აკეთებს ევროკავშირში ინტეგრაციისთვის მანიპულაციად აფასებს. აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება

[1] https://www.imedi.ge/ge/video/113116/imedis-kvira--4-dekemberi-2022-tseli#!?type=1&page=1
[2] https://www.imedi.ge/ge/video/113122/vin-gvidgens-simartles#!?type=1&page=1

- სიუჟეტში გაჟღერებულია ბრალდება, რომ ფაქტ-მეტრი ზოგჯერ, თვალის ასახვევად, ამოწმებს იმ ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს, რომელთა სიმართლეც „მათთან მოდაში აღარაა.“ აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება.

- სიუჟეტში გაჟღერებულია ბრალდება, რომ ეს ადამიანები (ფაქტ-მეტრის შესახებ საუბრისას) სამშობლოს ხარჯზე იწყობენ კეთილდღეობას.

სიუჟეტის ეთერში გასვლამდე ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი უკვე დაობდა ეთერში მანამდე გასული სიუჟეტის შესახებ იმედის თვითრეგულირების ორგანოში, რაც ცნობილი იყო სიუჟეტის ავტორისთვის. აღნიშნული დავის შესახებ, თვითრეგულირების სხდომამდე, არსებობდა მოლოდინი, რომ მედიასაშუალების წარმომადგენლების მხრიდან მიმდინარე დავაზე კომუნიკაცია მოხდებოდა. ამის ნაცვლად ეთერში მორიგი მადისკრედიტებელი სიუჟეტი გავიდა.

სამართლებრივი დასაბუთება

მიმაჩნია, რომ ეთერში გასული სიუჟეტი არღვევს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის[3] რამდენიმე მუხლს. ვინაიდან სადაოდ მიმაჩნია, სიუჟეტში გაჟღერებული რამდენიმე საკითხიდან გამომდინარე, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის სხვადასხვა მუხლის დარღვევა, განვიხილავ თითოეულ ეპიზოდს.

ყალბი ინფორმაციის შემცველი ანგარიშები

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, მაუწყებელი ვალდებულია დაიცვას ჯეროვანი სიზუსტე და ამის უზრუნველყოფისთვის მე-13 მუხლით კონკრეტული პირობებია წაყენებული. მე-12 მუხლის მიხედვით: *„ახალი ამბები და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია მიეწოდება მიუკერძოებლად და ჯეროვანი სიზუსტით.“* მე-13 მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტები კი ამ სიზუსტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად კონკრეტულ მოთხოვნებს უწესებს მაუწყებელს. ამ მოთხოვნებშია ვალდებულება, რომ მაუწყებელმა არ უნდა დაუშვას შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება, ხოლო მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომის შესწორება უნდა მოხდეს თანაზომადი საშუალებით - ღიად და დაუყოვნებლივ. სიუჟეტის შესავალში გადაცემის წამყვანი აჟღერებს ბრალდებას, რომ ფაქტ-მეტრის მიერ მომზადებული ანგარიშები შეიცავს ყალბ ინფორმაციას და „რადიკალური“ ოპოზიციის მხრიდან, შემდგომში, ხდება ამ ანგარიშების ინსტრუმენტალიზება საქართველოს პროდასავლური კურსის დასაზიანებლად.

[3] https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0

არც თავად წამყვანი და არც შემდგომ სიუჟეტი არ განმარტავს, რომელი ანგარიში შეიცავდა ფაქტობრივად მცდარ ინფორმაციას. ამ საკითხზე ბრალდება გაჟღერებულია მტკიცებით ფორმაში, არ მომხდარა კომუნიკაცია ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორთან, მიუხედავად იმისა, რომ თავად სიუჟეტშივე ნათლად ჩანს, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისაც სიუჟეტის ავტორი დაუკავშირდა კომენტარის მიღების მიზნით, პასუხობს, რომ ფაქტ-მეტრი მისგან დამოუკიდებელია და მის შესახებ კითხვებით ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს უნდა დაუკავშირდეს. ამგვარად, დაირღვა როგორც ჯეროვანი სიზუსტის, ასევე სამართლიანი მოპყრობის პრინციპები. ამასთან, ბალანსი მხოლოდ ხელოვნურად არის დაცული და სერგი კაპანაძესთან მიმოწერა მხოლოდ ბალანსის ხელოვნურად დაცვის ვალის მოსახდელად შემდგარი მიმოწერაა და მიუკერძოებლობის დასაცავად საკმარის მცდელობას არ წარმოადგენს.

თამარ კიკნაძის კომენტარი პრემიერის განცხადების შესახებ

სიუჟეტში ერთ-ერთი რესპოდენტი თამარ კიკნაძე ამბობს, რომ ფაქტ-მეტრმა პრემიერის განცხადება („საქართველო ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი“) შეფასებულია ვერდიქტით მანიპულირება.

სინამდვილეში, ვერდიქტით მანიპულირება პრემიერის შემდგომი განცხადებაა შეფასებული: *„ჩვენ ამ გზაზე, რასაც ჰქვია ევროინტეგრაციის გზა, ყველაზე მეტი გავაკეთეთ მას შემდეგ, რაც ქვეყანამ აღიდგინა დამოუკიდებლობა . . . ჩვენ მოვაწერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებას, თავისუფალ ვაჭრობას, უვიზო რეჟიმს.“*

აქ საუბარია არა იმაზე, ყველაფერს აკეთებს თუ არა საქართველო, არამედ იმაზე, რომ საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას ყველაზე მეტი აქვს საქართველოს ხელისუფლებებს შორის, გაკეთებული ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის, დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან.

სინამდვილეში, აღნიშნული განცხადება საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გაკეთდა, როდესაც პრემიერი ინტერპელაციის წესით პარლამენტში იმყოფებოდა. სტატიაში[4], რომელსაც თამარ კიკნაძე ეყრდნობა, მიმოხილულია კიდევ ერთი განცხადება. კერძოდ, სალომე სამადაშვილის მიმართვა პრემიერისადმი: *„თქვენი ხელისუფლების ერთადერთი მიღწევა ის იყო, რომ ძალიან უგემოვნოდ შერჩეული მუსიკის ქვეშ ხელი მოაწერეთ იმ შეთანხმებებს, რომელზეც იმუშავა თქვენმა წინამორბედმა ხელისუფლებამ.“* აღნიშნული განცხადებაც ფაქტ-მეტრმა შეაფასა ვერდიქტით მანიპულირება. სტატიის დასკვნით ნაწილში კი ხაზგასმულია საკითხის ზეპარტიულობა: *„შესაბამისად, ირაკლი ღარიბაშვილის აღნიშნული განცხადება ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულ წარმატებებს „ქართული ოცნების“ დამსახურებად წარმოაჩენს, რაც მანიპულირებაა. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“, მართლაც აქვს თავისი, მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი დასავლურ და ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციებთან ინტეგრაციის პროცესში, პრემიერ-მინისტრი კონტექსტს მიღმა ტოვებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს წინა ხელისუფლებებმა ამ გზაზე ასევე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგეს. ამგვარი ზეპარტიული საკითხის მმართველი ძალის მიღწევად წარმოჩენა*

[4] იხილეთ ფაქტ-მეტრის სტატია

არამარტო მანიპულაციურია და არასრულად წარმოაჩენს კონტექსტს, არამედ აუფასურებს იმ მიღწევებს, რომლებიც ქართველი ხალხის დაკვეთით საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლებას ჰქონდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სალომე სამადაშვილის განცხადება, რომელიც ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულ წარმატებებში „ქართული ოცნების“ როლს უგულებელყოფს, არის ასევე მანიპულაცია, ვინაიდან კონტექსტს მიღმა ტოვებს იმ მიღწევებს, რაც ამ გზაზე, აღნიშნულ დოკუმენტებზე ხელის მოწერამდე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ჰქონდა.“

ამგვარად, რესპოდენტის მიერ გაჟღერებული ბრალდება არ არის ზუსტი, დარღვეულია შესაბამისი მოთხოვნა მაუწყებლის შესახებ კოდექსიდან. ამასთან, დარღვეულია მიუკერძოებლობის პრინციპი და სამართლიანად მოპყრობის პრინციპი, ვინაიდან ჟურნალისტი უაპელაციოდ, კითხვების გარეშე აძლევს მოცემულ მტკიცებას ეთერში, იმგვარად, რომ არც თავად ცდილობს მიმოიხილოს ბრალდების შინაარსი და არც ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორთან ცდილობს კომუნიკაციას აღნიშნულ საკითხზე.

პოლიტიკოსები, რომელთა სიმართლეც ჩვენთან პოპულარული აღარაა

სიუჟეტში გაჟღერებულია ბრალდება, რომ ფაქტ-მეტრი, ზოგჯერ, ისეთ პოლიტიკოსებსაც ამოწმებს, რომელთა სიმართლეც ჩვენთან პოპულარული აღარაა.

ამ ფრაზის გაჟღერებისას კადრი ნიკა მელიას შესახებ ბოლო დროს გამოქვეყნებულ სტატიაზე ჩერდება, რაც ერთგვარი მინიშნებაა.

სინამდვილეში, ფაქტ-მეტრმა პირველად ნიკა მელიას განცხადება ვერდიქტით **მცდარი** 2014 წელს შეფასა, როცა გადაამოწმა ენმ-ს ყრილობაზე პოლიტიკოსის მიერ სამუშაო ადგილების შესახებ გაკეთებული განცხადება.[5] ხოლო ვერდიქტით **ტყუილი** ნიკა მელიას განცხადება 2018 წლის 24 თებერვალს შეაფასა.[6]

აღნიშნული ინფორმაცია და სხვადასხვა პოლიტიკოსის განცხადებების გადამოწმების სტატისტიკა მარტივად ხელმისაწვდომია ფაქტ-მეტრის საიტზე კონკრეტული პოლიტიკოსის პროფილში.

მეტიც, ამავე სტატისტიკის მიხედვით, მაგალითად ირაკლი ღარიბაშვილის 200-მდე განცხადებიდან, რომელიც ჩვენ გადავამოწმეთ, მესამედზე მეტი დადებითი ვერდიქტითაა შეფასებული და დაახლოებით ამდენივე უარყოფითი ვერდიქტით.[7]

ამგვარად, მოცემული ბრალდების შინაარსი არაზუსტია და ფაქტ-მეტრის დისკრედიტაციის მცდელობას წარმოადგენს, როგორც სამართლიანი მოპყრობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნების, ასევე ჯეროვანი სიზუსტის პრინციპის დარღვევით.

[5] იხილეთ ფაქტ-მეტრის სტატია
[6] იხილეთ ფაქტ-მეტრის სტატია
[7] იხილეთ ირაკლი ღარიბაშვილის სატისტიკა

ბრალდება სამშობლოს ხარჯზე კეთილდღეობის მოწყობის შესახებ

სიუჟეტში რესპოდენტი თამარ კიკნაძე ამბობს, რომ ეს ადამიანები - საუბარია ფაქტ-მეტრის შესახებ - სამშობლოს ხარჯზე იწყობენ საკუთარ კეთილდღეობას.

აღნიშნული ბრალდება არის დისკრედიტაციისკენ მიმართული უმძიმესი ფრაზა. ამგვარი ბრალდების ეთერში განთავსება არღვევს ჟურნალისტური ეთიკისა თუ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მუხლებს და წარმოადგენს უმძიმეს ჟურნალისტურ დანაშაულს. საყურადღებოა, რომ ეს არ ხდება პირდაპირ ეთერში, სადაც რედაქტირების საშუალება ჟურნალისტს არ ექნებოდა. მოცემული ფრაზა რედაქტირებისა და მონტაჟის შემდგომ, გამიზნულად, ფაქტ-მეტრისა და აქ მომუშავე ადამიანების დისკრედიტების მიზნით არის დატოვებული. ამასთან, ფაქტ-მეტრის წარმომადგენელთან საუბრის გარეშე მსგავსი ბრალდების ეთერში მიცემა ცალსახად მიუთითებს ფაქტ-მეტრის დისკრედიტების მოტივის არსებობაზე და სამართლიანი მოპყრობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დარღვევის შესახებ.

ფაქტ-მეტრი მიიჩნევს, რომ მოცემულ სიუჟეტში დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 (ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციიპ), მე-13 (ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის წაყენებული მოთხოვნები), მე-14 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის), მე-15 (მიუკერძოებლობის პრინციპი), მე-16, მე-18 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ახალი ამბების და საინფორმაციო პროგრამების გადაცემისას მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის), მე-19 (სამართლიანი მოპყრობის პრინციპი) და მე-20 (პროგრამის მონაწილეთა სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფის მოთხოვნები (წესები)) მუხლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გვსურს მივმართოთ შპს „ტელეიმედის“ თვითრეგულირების საბჭოს გადაცემა „იმედის კვირაში“ გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით. გთხოვთ შეისწავლოთ წინამდებარე საჩივარი და დაადგინოთ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესაბამისი მუხლების დარღვევა.

პატივისცემით

მალხაზ რეხვიაშვილი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი